დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნა ფოროვანი სხეულებისათვის

ი. ცაგარელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ამოხსნილია დრეკადობის ბმული თეორიის სასაზღვრო ამოცანები კონკრეტული ფორმის ერთგვარი ფორების მქონე იზოტროპული მასალისათვის. აგებულია ძირითად დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნის სპეციალური წარმოდგენები ელემენტარული ფუნქციების მეშვეობით. ამ წარმოდგენების გამოყენებით ამოცანების ამონახსნები მიიღება ცხადი სახით - აბსოლუტურად და თანაბრად კრებადი მწკრივების სახით. გამოკვლეულია განსახილველი ამოცანების რეგულარული ამონახსნის ერთადერთობის საკითხი.